№ 255
პარასკევი, 24 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 255
პარასკევი, 24 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქვრივი ნადვორნი სოვეტნიკისა ნინა გიორგის ასული, ზაქარია მიხეილის ძე და მეუღლე მისი ბარბარე გიორგის ასული, სოფიო, ლიუბა და ბარბარე კანდელაკები, დიმიტრი ზურაბის ძე და მეუღლე მისი ევა მიხეილის ასული ტატიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 25 ნოემბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა პირველის საყვარელის, ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის და მეორეების ძმისა ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტის

## კონსტანტინე (კოტე) მიხეილის ძის კანდელაკისა

სოფ. კავთისხევში, სადაც მოსვენებულ იქმნა ქ. ყაზანიდგან და დაკრძალულ, გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი წმ. გიორგის ეკკლესიაში. (1—240—1)

---

თევდორე დავითის ძე ჟორდანია და პოლკოვნიკი დავით ლუარსაბის ძე ტარსაიძე აცნობებენ თვისთა ნათესავთა, ნაცნობთ და პატივისმცემელთ, რომ ამა 30 ნოემბერს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას

## ელენე დავითის ასულის ჟორდანიასა,

გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ტფილისს—ქვაშვეთის ეკკლესიაში, ქუთაისს—მთავარ-ანგელოზთა ტაძარში და ფოთს—საკათედრო ეკკლესიაში.

---

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და ქართული დასის არტისტები გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ 22 ნოემბერს მძიმე და სასტიკი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული თეატრის სუფლიორი

## კოლა გალუსტოვი.

მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზე შაბათს, 25 ნოემბერს დილის 10 საათზედ საკუთარის სადგომიდგან, ფომინის ქუჩაზე, № 13. (2—1)

---

## მ ა ღ ა ზ ი ა

ქართველთა საალებ-მიმცემო ამხანაგობისა

## „შუამავალი“

გადატანილ იქმნა გოლოვინის პროსპექტზედ ოქოევის შენობაში (ცირკის გვერდზედ).

აუწყებს რა გამგეობა „შუამავალისა“ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მაღაზია შეახლებულ და შევსებული არის ყოველ გვარის საუკეთესო საქონლითა, როგორც საბაკალეულო-საგასტრონომეულო, აგრეთვე სხვა-და-სხვა სასმელებითა და სანოვაგითა,

გამგეობას სრული იმედი აქვს საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობისა. (5—238—1)

---

## შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 30 ნოემბერს 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, საბჭოს სადგომში ქუთაისს, მოხდება

## სახარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა სამუშაოები დაბა ჭიათურაში სამრეწველო საურმე გზების გასამართავად. სამუშაო 8800 მანეთისა იქმნება.

ვისაც ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, უნდა წარადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე გირაო ნაღდ ფულად ან სარგებლიან ქაღალდებად. გირაო საიჯარო ფულის 10% უნდა უდრიდეს. ხარჯთ აღრიცხვისა და პირობათა გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში. უკვე შემდგარი ვაჭრობა დამტკიცებულ უნდა იქმნას საბჭოს მიერ. (3—6.—1)

---

ქვრივი ასკირო გიორგის ასული ოთხმეზურისა შვილებით, მაზლისწულებით და სიძეებითურთ ულრმესს მადლობასა სწირავს ყველა იმათ, რომელთაც მისის ქმრის დავით იესეს ძის ოთხმეზურის გარდაცვალებისა გამო დეპეშით თუ წერილებით სამძიმარი გამოუცხადეს.

---

## ბანკის თეატრი

პარასკევს, 24 ნოემბერს, იწყება წარმოდგენები მოსკოვის საოპერეტო საზოგადოების არტისტებისა ა. მ. ლედინცევის გამგეობით

პირველად წარმოადგენენ სრულიად ახალის მოწყობილობით პიესას

## „გეიშა“-ს

ანუ ერთის საჩაიე სახლის ისტორიას, 3 მოქმედ. ოპერეტკას იაპონელთა ცხოვრებიდგან, მუს. სიდნეი-ჯონსისა.

პიესა კიევში 20-ჯერ იქმნა წარმოდგენილი.

უმთავრესს როლებს შეასრულებენ: მიმოზასას—ქ-ნი ლელინა, მოლლისას—ქ ნი დალსკაია. წარმოდგენაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

შემდეგი წარმოდგენა „Цыганскій Баронъ“ კვირას, 26 ნოემბერს, არის დანიშნული. (1—6.—1).

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ბ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

---

თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის დიღომის სარდაფებში ინახება გასასყიდად

## საუკეთესო ღირსების ღვინოები

მსურველთ უნდა მიჰმართონ სოფ. დიღომში მამულის გამგეს ი. ა. გუნცაძეს. (4—231—3)

---

# ახალი ამბავი

⁂ მარსელიდგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ ბ-ნის ნ. წერეთლისაგან: „აბრეშუმის პარკის ფასები ბაზარში უცვლელად არის. ნომინალური ფასი ცხრა ფრანკია“.

⁂ 22 ნოემბერს, საღამოს, სახაზინო რკინის გზათა მთავარ ინსპექტორის ბ-ნის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია ყარსის გზის დასათვალიერებლად წავიდა.

⁂ კვირას, 26 ნოემბერს, პეტერბურგის სათავად-აზნაურო საკრებულო დარბაზში პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ მე-XXXIII ჩვეულებრივი ქართული სალამო გაიმართება. გაზ. „Сѣв. Кур“.-ს სიტყვით, სალამოში მონაწილეობას მიიღებენ საიმპერატორო თეატრის არტისტები: ქ ნი სტრეპეტოვისა, ჩიარლონე და ლეშეტიცკაია; ბ-ნნი, ვოლფ-იზრაელი, დომბროვსკი და მებალალაიკეთა ხორო ბ-ნის მ. მ. ბალანჩივაძის ლოტბარობით.

⁂ საქართველოს ექსარხოსი ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე პეტერბურგიდგან ტფილისს დეკემბრის დამდეგში დაბრუნდება.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს სწერენ ქუთაისიდგან, შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს ათასი მანეთი გადაუდვია მომავალ წლის კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გასამართავად.

⁂ როგორც ამავე გაზეთს სწერენ ფოთიდგან, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრეს განკარგულება მოუხდენია, რომ ბლაღოჩინებს მოესპოს იმ 200 მანეთის ძლევა, რომელიც ყოველ წლივ იკრიბებოდა მრევლის და ეკკლესიებისაგან; მიუწერია აგრეთვე, რომ ბლაღოჩინებმა მღვდლებს დაუბრკოლებლივ აძლიონ ხოლმე ხაზინიდგან ჯამაგირის გამოსატანად საჭირო მიწერილობანი.

⁂ რადგანაც ამ ჟამად ნახშირის დიდი კრიზისია რუსეთში, სამთო უწყებაში ლაპარაკი აღუძრავთ, რომ კავკასიაში ახალი ნახშირის მადნების გამოკვლევას შეუდგნენ.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებელს მოუთხოვნია, ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ინსტრუქცია და ამ პოლიციაში მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ ცნობა სამის დღის განმავლობაში უთუოდ წარმომიდგინეთო.

⁂ სამშაბათს, 21 ნოემბერს, ტფილისში მყოფი გერმანიის კონსული ემილ ობერგი მკვდარი უნახავთ თავის ბინაზედ, როტინოვის სახლში. სიკვდილის მიზეზად გულის სიგანიერეს ასახელებენ.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში დღეიდგან მოსკოვის საოპერეტო საზოგადოების არტისტთა წარმოდგენები დაიწყება. პირველ წარმოდგენად „გეიშაა“ დანიშნული.

⁂ † გუშინ-წინ ღამ ტფილისში გარდაიცვალა ქართულის დრამატიულის დასის სუფლიორი ნიკოლოზ გალუსტოვი. 15—16 წელიწადზედ მეტია, რაც განსვენებული ერთგულად და დაუღალავად ქართულ სცენას ემსახურებოდა. ამ ხნის განმავლობაში განსვენებული თეატრს არ მოჰშორებია. სუფლიორობის გარდა

იგი ხშირად სცენაზედაც თამაშობდა, ორი-სამი პიესაც აქვს ქართულად ნათარგმნი. ამხანაგებში ნ. გალუსტოვს საერთო სიყვარული და პატივის-ცემა ჰქონდა დამსახურებული; იგი ცნობილი იყო ჩვენის არტისტთა შორის როგორც გულ-კეთილი და პატიოსანი ამხანაგი. ნ. გალუსტოვი ჯერ ახალგაზდა კაცი იყო, 35 წლისა არც-კი იქმნებოდა. განსვენებულს დარჩა ცოლი და პატარა ქალი.

*** სადგურ სუფსიდგან გვატყობინებენ, რომ რკინის გზის მე-55 ვერსზედ, ხიდ ქვეშ № 76, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ ნავთის გასაყვანი მილი ერთს ადგილას გაუხვრეტიათ და გვერდის მილით ნავთი სხვა მხარეს წაუყვანიათ, რომ ამ გზით ეპარნათ ნავთიო.

*** სამშაბათს, 21 ნოემბერს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას დაუდგენია საზოგადოების მდივანი ბ-ნი ალ. მიქაბერიძე გადაიყვანოს სათავად-აზნაურო სკოლაში ლათინურის ენის მასწავლებლად და ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ხოლო მის ადგილზე საზოგადოების მდივნად დანიშნოს ბ-ნი პეტ. მირიანაშვილი.

*** სამშაბათს, 21 ნოემბერს, სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა დრამა „თამარ ბატონიშვილი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ხალხიც ბევრი დაესწრო.

*** როგორც „ნოვ. ობოზრ.“ იუწყება, მთავრობა ცნობებსა ჰკრებს იმის შესახებ, თუ რა ზარალი მოუვიდა წელს სხვა-და-სხვა სოფელს წყალდიდობისაგან.

*** ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის დირექტორად ბ-ნის ციტოვიჩის მაგივრად, რომელსაც სამსახურისთვის თავი დაუნებებია, ბ-ნი ბენკენდორფი დაუნიშნავთ.

*** ქუთაისიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ 20 ნოემბერს, ღამით, ქალაქის შუაგულ ბოლქვაძის ღვინის საწყობში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ კასა გაუტეხიათ და 700 მან. წაუღიათ.

*** რედაქციამ მიიღო მე-7 № ფრანგულის ჟურნალის „Le Caucase Illiustre“-სი. ამ №-ში მოთავსებულია: სურათი ბაქოელ მდიდარ მწარმოებლის ა. ი. მანთაშევისა, მარილის მადნის ყულფისა, ქართული ანდაზები, ლექსი „თერგი“, ალ. დიუმასი, „კალოობა“, სცენა ქართველთა ცხოვრებიდგან კახეთში, ოქროს და ვერცხლის ხელოვნება კავკასიაში, ანჩის ხატის ხატი — პირი ღვთისა, — შიგნითა პირიდგანა და გარედგან, კონსტანტინოპოლიდგან ბათუმამდე ზღვის პირის ქალაქები და მათი აღწერა, ქართულ თეატრის არტისტი ვ. აბაშიძე, მეგრელი ქალები და კაცები — მათი სურათი-ტიპები და კავკასიის ბიბლიოგრაფია.

*** ტფილისის საგუბერნიო მმართველობას გარდაუწყვეტია შეაკეთოს მდ. ლიახვზე არსებული ხიდი გორის მაზრაში.

*** როგორც „ცნ. ფურც.“-სატყობინებენ, სოფელ სვირში (ქუთაისის მაზ.) ეს ერთი თვეა, რაღაც ყელჭირვების მსგავსი სენი გავრცელებულა. ამ სენს 10-მდე კაცი უმსხვერპლია და ბევრნი ავად არიან თურმე.

*** ხუთშაბათს ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ტფილისის მოქალაქის დარჩო საგინოვისა, რომელსაც 1895 წელს ჩადენილი სიყალბე ედებოდა ბრალად. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია დარჩო საგინოვი და გარდაუწყვეტია ზოგიერთის უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საგანგებო კრება

21 ნოემბერი

თავად-აზნაურთა ეს საგანგებო კრება მოწვეულ იქმნა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის განსახილველად. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამას წინად არჩეულ იქმნა, გენერალის თავ. ი. გ. ამილახვარის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების გამო სადღესასწაულო პროგრამის შემუშავება.

საგანგებო კრებას თავმჯდომარეობდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. კრების დაწყებამდე საბჭოს დარბაზში დილის $10^1/_2$ საათზედ გარდახდილ იქმნა პარაკლისი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის განკურნებისათვის. შემდეგ კრება. შეუდგა კომისიის მოხსენების განხილვას.

კომისიის მოხსნებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, მაგრამ ბოლოს კრებამ მაინც მიიღო იგი და დაამტკიცა. აი, თვით კომისიის კაჯაწყვეტილებაც: 1, გამართულ იქნას ხელის-მოწერა ძეგლის ასაგებად საქართველოს რუსეთთან შეერთების სახსოვრად; 2, არჩეულ იქმნას 20 კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია, რომელმაც პ ტერბურგში პანაშვიდი უნდა გადაიხადოს და გვირგვინებით შეამკოს საფლავები იმპერატორთა: პავლე I, ალექსანდე I, ნიკოლოზ I, ალექსანდრე II და ალექსანდრე III სა, აგრეთე უნდა გადაიხადონ პანაშვიდი იმპერატრიცის ეკატერინე II-სა და განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად; 3, დაარსებულ იქმნას კადეტთა კორპუსში ოთხი სტიპენდია იმ რაზმების აფიცერთა შვილებისათვის, რომელნიც ამ ასის წლის წინად პირველნი შემოვიდნენ ტფილისში. ეს რაზმები არიან: ყაბარდინისა, ერევნისა და დონის ყაზახთა რაზმები და არტილერიის მე—20 ბრიგადა. ამ სტიპენდიებისათვის სათავად-აზნაურო სახლის შემოსავლიდგან ყოველ წელიწადს გადადებულ უნდა იქმნას 1800 მანეთი; 4, 1901 წლის 11 სექტემბერს გამართულ იქმნას თავად-აზნაურთა საგანგებო კრება და გარდახდილ იქმნას სიონის ტაძარში პანაშვიდი განსვენებულ იმპერატორთა სულის მოსახსენებლად; 12 სექტემბერს გადახდილ იქმნას სადღესასწაულო წირვა, შემდეგ გამართულ იქმნას: საგანგებო სადილი —სტუმართა და ჯარისათვის, სახალხო დღესასწაული და საგანგებო წარმოდგენა სახაზინო თეატრში. ამას გარდა გამართულ უნდა იქმნას ბალი, რომელზედაც მოიწვევენ მინისტრებს, მათ ამხანაგებს, რუსეთის გუბერნიების თავად-აზნაურთა წინამძღოლთ, კავკასიის უმაღლესს დაწესებულებათა წარმომადგენელთა და ქართველ თავად-აზნაურთ; და, დასასრულ, 6, გამოცემულ იქმნას საიუბილეო წიგნი ისტორიულის მიმოხილვით.

როგორცა ვთქვით, ამ მოხსენებამ ცხარე და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგიერთებმა, როგორც, მაგ. თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა და ა. ნ. ფურცელაძემ განაცხადეს, რომ პროგრამა დღესასწაულისა მეტად ვრცელია და თავად-აზნაურობას ფული არ ეყოფა იმის შესასრულებლადაო. კომისიის წევრთ სთქვეს, რომ ხელის-მოწერით უეჭველად შეიკრიბება საჭირო ფულიო. ზოგიერთმა წევრებმა წინააღმდეგობა განაცხადეს აგრეთვე სტიპენდიებისათვის სათავად-აზნაურო სახლის შემოსავლიდგან ყოველ წელიწადს 1800 მანეთის გადადებისათვის.

შემდეგ ამ პროგრამის სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქმნა 25 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი. თავმჯდომარედ კომიტეტისა იქმნება გუბერნიის წინამძღოლი თავ დ. ზ. მელიქიშვილი, წევრებად 6 მაზრის წინამძღოლი და შემდეგი 18 კაცი: გენ.-ად. თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, კავალერიის გენ თავ. ი. გ. ამილახვარი, გენ.-ლეიტ. თავ. მ. კ. ამირეჯიბი, გენ.-მ. თავ. ი. ს. ჭავჭავაძე, გენ.-მ. თავ. ბ. ო. ჩოლოყაშვილი, გენ.-მ. ქ. ი. მამაცაშვილი, უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. ნ. ვ. არღუთაშვილი-მხარგრძელი, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, პოლკ. თავ. ა. ი. მუხრან-ბატონი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, გენ.-მ. თავ. ა. ი. ბებუთაშვილი, გენ.-მ. თავ. ხიმშიაშვილი, თავ. ი. გ. ბარათაშვილი, მ. ვ. მაჩაბელი, თავ. ვ. გ. მაჩაბელი, ი. გ. თულაშვილი, თავ. ლ. გ. ჯანდიერი და გენ.-მ. ქილაშვილი.

დასასრულ კრებამ ერთ ხმად დაადგინა ულრმესი მადლობა გარდაუხადოს კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლეს მისს ბრწყინვალებას მ. თ. გოლიცინისას 40 ათასის მანეთის შეწირვისათვის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელთან საავადმყოფოს დასაარსებლად.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის სენატმა უკვე დაამტკიცა ამნისტიის (დამ-

# ფელეტონი

## სრულიად ჩვეულებრივი ბუზი საშუალო ზომისა

(კნუტ ჰამსუნისა)

ჩვენი ნაცნობობა დაიწყო იმითი, რომ ის ერთხელ შემოფრინდა ჩემს ღია სარკმელში იმ დროს, როდესაც ვიჯექ და ვწერდი, და მორთო ჩემს თავს გარშემო ცეკვა. ეტყობოდა, რომ თავს მთვრალადა ჰგრძნობდა სპირტის სუნისაგან, რომელიც ჩემს თმას ასდიოდა. რამდენჯერმე დავკარი, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდა. მაშინ მივწვდი ჩემს სამუშაო მაკრატელს.

ეს მაკრატელი ისეთი უშველებელი და იმისთანა მრავალ ნაირად გამოსადეგია, რომ ვხმარობ: ჩიბუხის გამოსუფთავების დროს მართულის მაგიერ, კედელზედ ლურსმების ჩარიგების დროს ჩაქუჩის მაგიერ და აგრეთვე მაშის მაგიერ; ჩემს დახელოვნებულს ხელში იგი მუდამ საშინელს იარაღს წარმოადგენს. რამდენჯერმე გავიქნიე იგი ჰაერში და ბუზი გაფრინდა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ მობრუნდა და განაგრძო წინანდელი ცეკვა. ავდექი და ჩემი საჯდომი კარებთან მივწიე. ბუზი უკან გამომყვა. „გიჩვენებ მე შენ სეირს!“ — ვიფიქრე და, ავდეგ-რა ნელა, თავი მოვიბანე და ამ რიგად მოვიცილე სპირტის სუნი. ამან მიშველა. ბუზი საკმაოდ შევიწროებულის გამომეტყველებით დაჯდა ლამპარის ჩამოსაცმელზედ და აღარსად მიდიოდა.

დიდხანს საქმე ძალიან კარგად მიდიოდა: ვმუშაობდი და ბევრიც გავაკეთე. მაგრამ, ბოლოს, ცოტა არ იყოს, მომწყინდა. ავიხედავდი თუ არა მაღლა, ბუზს დავინახავდი ხოლმე. დავათვალიერე: სრულიად ჩვეულებრივი ბუზი იყო საშუალო ზომისა, კარგი აგებულობის მქონე, ნაცრის ფერის ფრთებით. „ცოტად მაინც შეიძარ“-მეთქი ვუთხარი. არ იძროდა. „შორს! — დავუყვირე და მაკრატელი მოვუღერე. აფრინდა, ფრენით მთელი ოთახი შემოიარა და ისევ წინანდელს ადგილზედ დაჯდა.

ჩვენის ნამდვილ დამეგობრების დასაწყისად სწორედ ამ შემთხვევასა ვთვლი. მისს განუდრეკელობას თაყვანსა ვცემდი: ის თავისს სურვილზედ მტკიცედ იდგა: რაც ჰსურდა, ნამდვილად ჰსურდა! მან დიდი გავლენა იქონია ჩემზედ აგრეთვე გარეგნობითაც: გვერდზედ გადეგდო თავი და ისე შემომცქეროდა. ჩვენნი გრძნობანი შეეწონა ერთმანეთს; მიხვდა, რომ მისი დაახლოვება მომინდა და ამისდა მიხედვით იქცეოდა იგი. ყოფაქცევაში უფრო და უფრო თამამდებოდა. სადილ შემდეგ, როდესაც სახლიდგან გამოსვლა დავაპირე, წინ გადამეღობა და გასვლას მიშლიდა.

მეორე დღეს ჩვეულებრივ დროს ავდექი. სწორედ იმ წუთას, როდესაც ნასაუზმევი სახლში უნდა შევსულიყავ და მუშაობა დამეწყო, ბუზი კარებში შემეხეჩა. თავი დავუქნიე. მან ბზუილით შემოიარა მთლად ოთახი და დაჯდა ჩემს სკამზედ. მე ეს მისთვის არ მითქვამს და სკამიც მე მჭირდებოდა. „შორს!“-მეთქი, შევძახე. ცოტა ხანს მოშორდა სკამს და შემდეგ ისევ იქ დაჯდა. დავიძახე: „აბა, მეცა ვჯდები“-მეთქი. დავჯექი. ბუზი აფრინდა და ჩემს ქალალდზედ დაჯდა. „შორს“! მეთქი, შევძახე კვლავ. პასუხი არ იყო. შევუბერე. ის იჯდა და აფრენას არ აპირებდა. „არა, თუ ერთმანეროთის პატივისცემა არ ვიქონიეთ, ასე შეუძლებელია!“-მეთქი, ვუთხარი.

გაიგონა ჩემი ნათქვამი და დაფიქრდა კიდეც, მაგრამ მაინც არ დაიძრა. მაშინ კიდევ მოვუქნიე მაკრატელი; სარკმელი ღია იყო — მე წინადვე ვერ შევნიშნე — და ბუზი გაფრინდა.

ერთ-ორს საათს ქუჩაში იყო. დავდიოდი და ვნანობდი, საკუთარის ხელით რად გავაგდე-მეთქი. სადაა ეხლა ის? ვინ იცის, რა შეემთხვევა? ბოლოს ჩემს ადგილზედ დავჯექ და სამუშაოდ ვემზადებოდი; მაგრამ ცუდის შედეგის წინასწარი გრძნობა არ მასვენებდა.

და აი, ბუზიც დაბრუნდა. მას უკანა ფეხზედ რაღაც უწმინდურება მიჰყვებოდა. „შე, პირუტყვო, ქუჩის ტალახში ამოსვრილხარ!“-მეთქი, მივაძახე: „თფუ“! მაგრამ მაინც მიხაროდა მისი დაბრუნება. ხელ-ახლად მაგრად მივხურე სარკმელი. „როგორ გაბედე მაგრე გასეირნება?“-მეთქი, ვეუბნებოდი. ის-კი, თითქოს უხარიანო, მეუბნებოდა: „ე-ე„!, რადგანაც სისრულეში მოიყვანა ეს გასეირნების ჟინი. წინად არასოდეს არ მინახავს, რომ ბუზი ასე გამხიარულებულიყოს; მან მეც ამიყოლია სიცილში: ვუთხარი: „ე-ე!“ — და გულიანად ჩავიკისკისე. „ხა, ხა, ვის უნახავს ამ ნაირი ტარტაროზი ბუზის სახით“!-მეთქი, ვკითხულობდი: „მოდი აქ, კისერში გიღიტინებ, გაიძვერავ!“

საღამოზედ მან კიდევ სცადა თავისი ხუმრობა და უნდოდა ჩემთვის გზა შეეკრა. პირჯვარი გამოვისახე და ჩემი სულის ძლიერება გამოვიჩინე, ეს ძალიან კარგია, რომ იგი ჩემით მოხარულია, ხოლო ნება არა აქვს, ყოველ ღამ სახლში დამტოვოს. ძალით გამოვარდი კარში. მესმოდა, როგორ ირეოდა იგი ოთახში და გარედგან მივაძახე: „აბა, ეხლა შენ თითონ სცადე, თუ კარგია მარტოდ ყოფნა ოთახში. მშვიდობით, მანდ იყავი!“

შემდეგ დღეებში ეს პატარა უვარგისი ბუზი ჩემს მოთმინებას აუარებელს განსაცდელში აგდებდა. ხალხი დადიოდა ჩემთან, იგი ეჭვიანობდა და ისე მოაბეზრებდა ხოლმე თავს, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ წასულიყვნენ. როდესაც ამგვარ ქცევის თავ-მობეზრებული საყვედურს ვუცხადებდი ჩ ვეტყოდი ხოლმე, რომ ცოტა ხნობით თმებით თრევა გარგებს-მეთქი, ის თავ-გამეტებულად აფრინდებოდა იატაკიდგან ჭერზედ და ამნაირად თავს ბრუ მეხვევოდა. „ჩამოვარდები-“მეთქი, ვუყვიროდი, მაგრამ დარიგება მისთვის უსარგებლო იყო. „მაშ, გეთაყვა, მანდ იჯექ!“ — ვეტყოდი და ზურგს შევაქცევდი ხოლმე. ამ დროს ძირს დაეშვებოდა. ეს სწორედ ასე იყო: თუ ყურადღებას აღარ მივაქცევდი, გამოფრიალდებოდა სწორედ ჩემ ცხვირ წინ და დაეცემოდა ჩემს ხელთ-ნაწერზედ. აქ იგი სეირნობას მოჰყვებოდა, თითქოს მე ჩემი მაკრატელი სახლში აღარა მქონოდეს. „მშვიდობიანის გზით უნდა გავაძევო როგორმე!“-მეთქი, ვიფიქრე. მეგობრულად ვუთხარი: „ნუ დადიხარ მანდ, ნუ ისვრები მელანში: მე შენს საკეთილოდ გეუბნები“. ჩემი სიტყვები არ ესმოდა, თითქოს ყრუაო. „აკი გითხარი, რომ შენ ჩემს ქაღალდზედ არ უნდა ისეირო — მეთქი? — გავიმეორე: — ეს უბრალო ქაღალდია, შავი; შეიძლება ფეხში ეკალი შეგერჭოს!“ ეჰ, არა! განა ამითი მისი შეშინება შეიძლება! „გაგონილა მაგისთანა უკმეხობა! ცოფიანივით წამოვიძახე — ვითომ ქაღალდში არ არის ეკალი?“ სრულიადაც არა, მას ეკლის ნაკვალევიც არ შეჰხვედრია. „მაშ ამის შემდეგ დამეკარგე, ჯანაბამდეც გქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაშავეთა თავისუფლების) პროექტი იმ რიგად, როგორც ეს საპარლამენტო კომისსიამ შეიმუშავა. ხმის ჩამოტებამდე პროექტის შესახებ სრულიად დაწუნარებულნი კამათობდნენ, რომლის დროსაც თითონ მინისტრ-პრეზიდენტმა ვალდეკ-რუსსომაც რამდენიმე შენიშვნა შეიტანა. ანარქისტი დამრტელი დაეკითხა ვალდეკ-რუსსოს, რა მიზეზია, რომ უმაღლეს სასამართლოს მიერ დასჯილი ნაციონალისტები ამნისტიაში არ მოხვდნენო; ამაზედ რუსომ ის პასუხი მისცა, რომ ეს საშუალება სრულიად სამართლიანი და კონივრულიაო. მთავრობა დიდს გაუფრთხილებლობასა და უსამართლობას ჩაიდენდა, რომ ამნისტიაში ისინიც მოექცია, ვინც დანაშაულის პატიებას არ ითხოვს, ან-და პირდაპირ წინააღმდეგია მთავრობისა და ემუქრებაო. ამასთანავე ვალდეკ-რუსსომ რამდენიმე განცხადება წაიკითხა დერულედისა, რომელსაც ის აზრი გაჰყავს, რომ უმაღლეს სასამართლოს მიერ დასჯილთა თავისუფლება სენატის შეურაცხყოფა იქნებოდაო. მთავრობა ამისსათვის დერულედსა და მის თანამოქმედთ ამნისტიას არ ანიჭებსო. რაც შეეხება ასოციაციების კანონის წინააღმდეგ დანაშაულობათ, იგინი სავსებით ასუმპციონისტებს შეეხებიან. ამათი განთავისუფლებაც ისევე არ შეგვეძლო, რადგანაც მათი დანაშაულობა დღემდის არ შეწყვეტილაო.

**ჩინეთი.** „Kölnische Zeitung“-ის ლონდონელი კორესპონდენტი ამ რიგად ასურათებს ჩინეთის საქმის დღევანდელს გარემოებას: „როგორც „Morning Post“ იუწყება პარიჟიდგან, პეკინის სადიპლომატო კორპუსს უთხოვნია ჩინეთის უმაღლეს მთავრობისათვის, რომ პრინცს ცინსა და ლი-ხუნგ-ჩანგს სრული მინდობილობანი მიეცეთ. როგორც აქედგანა სჩანს, ეტყობა მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს უკვე მიუღიათ თავიანთ სახელმწიფოთაგან თანხმობის პასუხი და მალე ფორმალურს მოლაპარაკებას დაიწყებენ; მეორე მხრივ, ვაშინგტონიდგან მიღებული დეპეშა ამ შეხედულებას სრულიად ეწინააღმდეგება. „დალზიელის სააგენტოს“ ცნობებით, ინგლისი, რუსეთი და უთუოდ საფრანგეთიც შეერთებულ შტატებს მხარს უჭერენ და საიმპერატორო სახლობის პრინცების დასჯასა და სასტიკ საშუალებების წინააღმდეგნი არიან.

„Times“-ის ამერიკელს კორესპონდენტსაც მოჰყავს ის ხმები, რომლებიც ვაშინგტონსა და ნიუორკშია გავრცელებული:

1) ვაშინგტონის კაბინეტი სადიპლომატო კორპუსის „décisions irrévocables“-ს არ ეთანხმება. სახელმწიფოთა უმეტესობაც ამ აზრისაა.

2) გერმანია ელჩების მიერ თავდაპირველად შემუშავებულ პირობების შესრულებასა თხოულობს.

3) მხოლოდ რუსეთია შეერთებულ შტატების მხარეზედ.

4) ვეის აზრს ყველა სახელმწიფონი ეთანხმებიან, მაგრამ ვაშინგტონიდგან გამოგზავნილ ნოტას პასუხი ჯერ არ მიუღიათო.

5) ჯერ-ჯერობით გარდაწყვეტით არაფერია დადგენილიო.

მიუხედავად ყველა ამ ხმებისა, მთავრობა კონჯერს არ ეთანხმება და სახელმწიფოთა მიერ წარდგენილს მოთხოვნილებათა და პირობებს შეუსრულებლადა და უაზროდა სთვლისო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

როგორც ვუწყით, ბევრგან ჯარში მტრედები გაწვრთნეს წერილების სატარებლად. გაწვრთნილი მტრედები მართლაც სამაგალითოდ ასრულებენ ამ საქმეს და წერილები დანიშნულებისამებრ მიაქვთ. ეხლა ამ აზრით ფუტკრის გაწრთვნასაც-კი შეუდგნენ. ინგლისში ერთ ფერმებს უცდია პირველად მტრედის შემწეობით წერილების გაგზავნა. ამ ფერმერს სკები სახლიდგან რამდენისამე ვერსის სიშორეზედ ჰქონია. ერთხელ ერთი სკა სახლში წაუღია, ამოუყვანია იქიდგან ერთი ფუტკარი, დაუკრავს ზურგზედ წერილი (წერილი მიკრო-ფოტოგრაფის შემწეობით პაწაწკინა ქაღალზედ ყოფილა დაწერილი) და გაუშვია. ფუტკარი იქ მისულა, სადაც სკები ყოფილა. მეორეთა და მესამედაც უცდია ფერმერს და ყოველთვის ფუტკარს დანიშნულებისამებრ მიუტანია წერილი. ფერმერი ამტკიცებს, რომ ფუტკარი იმდენად მიხვედრილი და ჭკვიანი მწერია, რომ სხვა ადგილებში გასაგზავნადაც ადვილად შეიძლება იმისი გაწრთვნაო. ერთი ინგლისური გაზეთი ურჩევს მთავრობას გაიჩინოს ფუტკრის ფოსტა. ამ გაზეთის აზრით, ფუტკარი სჯობია ომში მტრედს: მტრედს ადვილად შეამჩნევს მტერი და მოჰკლავს, ფუტკარს-კი ყურადღებას არავინ მიაქცევსო.

* * *

ერთ ამერიკელს მუსიკიანი ველოსიპედი გამოუგონია. ამ ამერიკელის მიერ გამართულ ველოსიპედს საკრავი წინა თვალის მახლობლად აქვს. მგზავრს მომართვის მეტი არაფერი უნდა, საკრავი თავისს თავად დაუკრავს და გაართობს მგზავრს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ლივადია**, 21 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე ძალიან კარგად გაატარა. საღამოს სიცხე 37,1 ჰქონდა, მაჯა—80; დღეს დილით სიცხე—35,9, მაჯა—66. თვით გრძნობელობა ძალიან კარგი აქვს. დღისით მისმა უდიდებულესობამ რამდენიმე ხანი სავარძელში დაჰყო. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ მკურნალი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

**ლივადია**, 22 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წარსული ღამე ძალიან კარგად გაატარა. საღამოთი სიცხე 37 ჰქონდა, მაჯა—78; დღეს დილით სიცხე 36,1, მაჯა—68; ავადმყოფობიდგან გამობრუნება ნორმალურად მიმდინარეობს. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მკურნალი პოპოვი, მკურნალი ტიხონოვი.

20 ნოემბერი

**შანჰაი.** ვუნჩჯანის ვიცე-კოროლმა ჯანჯიდუნმა მიიღო სინანფუდგან დეპეშა, რომლითაც ნაბრძანები აქვს მოსპოს სურსათების გზავნა შანსის პროვინციაში. ხმა დადის, რომ იმპერატორი დაუყოვნებლივ პეკინში დაბრუნდებაო. შემდეგ იუწყებიან, რომ ქვრივი დედოფალიც წამოჰყვება, თუ კარგად დაუხვდებიან. ეს ხმა გამოწვეულია, ალბად, იმ მოწოდებით, რომელიც იმპერატორმა ამ მცირე ხანში დაურიგა მეფის მოადგილეებს და სთხოვა,—დაუმტკიცეთ დედოფალს, რომ კეთილ-გონივრობა მოითხოვს პეკინში დაბრუნებასაო.

**პეკინი.** მტაცებლობის სამწუხარო პოლიტიკით გატაცებულთ საფრანგეთისა და გერმანიის გენერლებმა, ვალდერზეეს ნებართვით, ჩამოიღეს პეკინის ქალაქის გალავნიდგან მშვენიერი ასტრონომიული ინსტრუმენტები, რომლებიც იეზუიტებმა დადგეს და რომლებიც ორის საუკუნის განმავლობაში შეადგენდნენ პეკინის ღირს შესანიშნავს ნაშთს. ინსტრუმენტები იმდენად კარგია, რომ თვით ჩინელებმაც-კი, რომელნიც ამას წინად მომხდარ უწესობების დროს ყველაფერსა ჰსპობდნენ, რაც კი უცხოელებს მოაგონებდათ,—ხელუხლებლად დასტოვეს. ამ ინსტრუმენტების ერთ ნახევარს პარიჟში წაიღებენ, მეორე ნახევარს—ბერლინში. ფრანგები და გერმანელები ამბობენ: რადგანაც მოსალოდნელი არაა, რომ იმპერატორის სახლობა პეკინში დაბრუნდეს, და პეკინი ხელ ახლა სატახტო ქალაქად გახდეს, ამიტომ ამ გვარი ძვირფასი ნივთების დატოვება შეუძლებელიაო.

**პეკინი.** ვალდერზეე შიშს აცხადებს პეკინის მიდამოებში ექსპედიციების გაგზავნის გამო, მაგრამ ჰფიქრობს, რომ ეს ექსპედიციები საჭირო და სასარგებლოა. ინგლისის აფიცერთა უმრავლესობაც ამავე აზრისაა.

ინგლისელებს უჭირავთ ზეცის ტაძარი, ამერიკელებს—ტაძარი იმპერატორების წინაპრებისა, ფრანგებს—აღმოსავლეთის აკლდამები, გერმანელებს—დასავლეთის აკლდამები.

გერმანიისა და საფრანგეთის ელჩები ჯერ კიდევ ელიან თავიანთ მთავრობათაგან პასუხებს განზრახულ მოთხოვნილებათა შესახებ.

**ტიანძინი.** გერმანიის ჯარი ძალიან შეწუხებულია სუსხიანი ამინდებისაგან; ბევრნი იხოცებიან. სამხედრო მოხელენი საჭიროდ არა სთვლიან დაუშალონ ჩინელებს ტელეგრაფის აღდგენა: ეტყობა იმათ საშიშრად არ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ აქაურ ჩინელებს გაუადვილდებათ დაუბრკოლებლივ მიწერ-მოწერა იმპერატორის სახლობასთან.

**ლონდონი.** ახალი პარლამენტი შეიკრიბება დღეს და პირველად შეუდგება სპიკერის არჩევას. სეფე-სიტყვის წაკითხვა დანიშნულია ხუთშაბათისათვის.

**ბერლინი.** კრიუგერს განზრახვა აქვს გააგიდგან რომში წავიდეს.

**ბერლინი.** გერმანიის საზღვარზე მდებარე სადგურ გერბესტალიდგან კრიუგერმა იმპერატორ ვილჰელმს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „შემოვდგი რა ფეხი გერმანიის ნიადაგზე, არ შემიძლიან არ გამოვუცხადო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას გრძნობანი მეგობრულ გა-

---

ნია გზა!“ ვუთხარი და მეორე ფურცელი ავიღე. ხოლო როდესაც მეორე ფურცელი ავიღე, ის გადაფრინდა.

ასე მიდიოდა დღეები და კვირეები. ერთმანეთს მივეჩვიენით, ერთად ვმუშაობდით სხვა-და-სხვა ფურცელზედ, ჰირსა და ლხინს შუაზედ ვიყოფდით. მისს ოცნებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ვითმენდი. მან მიმახვედრა, რომ ორ-პირი ქარი სძულდა და კარები და სარკმლები მუდამ მიხურულები მქონდა. ამისდა მიუხედავად, მას ხშირად მოსდიოდა ფიქრად—ჰერიდგან აფრენილიყო და პირდაპირ სარკმლის მინას დასჯახებოდა, რათა გაეტეხა იგი. „უკეთუ ქუჩაში რაიმე საქმე გაქვს, აი, იმ გზით გადი“—მეთქი, ვეუბნებოდი და კარებს ვუღებდი. არა ჰსურდა გარედ გაფრენა. „გსურს გაფრენა თუ არა“-მეთქი, შევეკითხე:—ერთხელ, ორჯელ, სამჯერ. პასუხი არ გამცა. სიბრაზით მე კარებს ვაჯახუნებდი, მაგრამ მალე ვინანე.

ერთს მშვენიერს დღეს ბუზი გამიფრინდა. დილით თურმე შენიშნა, რომ ოთახში მოსამსახურე დედაკაცი შემოვიდა და ამ დროს გაშპა კარებიდგან. მივხვდი, რომ შურის ძიება იყო და დიდხანს ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავ. გარედ ვამოვედი და ხმა მაღლა დავიყვირე, რომ რამდენს ხანსაც გსურს, ნება გაქვს გარედ თრევისა და, მე აღარ მესაჭიროები-მეთქი. მაგრამ ამაოდ: ვერ შემოვიტყუე და ვწუხდი უიმისობას ყველაფერი გავაღე, რის გაღებაც-კი შეიძლებოდა ჩემს ოთახში, ჩემი ხელთ-ნაწერიც სარკმელზედ გამოვკიდე ქარის და ამინდის ანაბარად: მსურდა დაენახა, რომ მე ყველაფერზედ მზად ვიყავ, ოღონდ-კი დაბრუნებულიყო. ვეკითხებოდი ბუზის ამბავს სახლის პატრონს, ხელ-ახლად დავისველე თმა სპირტით და საუკეთესო მეგობარს და „ჩემს კარის ბუზს“ ვუწოდებდი, რათა ამ ქებით მისი გული მომეგო, მაგრამ ამაოდ.

ბოლოს, მეორე დღეს შუადღის უკან, დაბრუნდა იგი. მარტოკი აღარ იყო—თან მოიყვანა ქუჩიდგან საყვარელი. იმით გახარებულმა, რომ კიდევ ვნახავდი, ყველაფერი მივუტევე და, ასე გასინჯეთ, ცოტას ხნობით მისის საყვარლის იქ ყოფნასაც-კი ვითმენდი. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ჯერ პირველად დასხდნენ ისინი, ერთმანეთის თვალს უშვრებოდნენ, ეხახუნებოდნენ და აქ უეცრად მას საყვარელი ისეთ ნაირად მივარდა, რომ სიწითლე მომერია. „რას შვრებით მაგას, ყველას თვალწინ!—მეთქი“, შევძახე და ვცდილობდი შემერცხვინა როგორმე.

ეს სიტყვები ბუზს შიგ გულში მოხვდა, მან თავი გადიქნია და მიმახვედრა, რომ ამაოდ ვეჭვიანობ. „მე ვეჭვიანობ!—მეთქი. ვეჭვიანობ! არა, იცი თუ არა, ეს...“ მან კიდევ ძალზედ გადიქნია თავი და თავისას არ იშლიდა. წამოვდექი და შემდეგი სიტყვები ვუთხარი: „ლანძღვას არ დაგიწყებ, ამის ნებას არ მაძლევს ჩემი რაინდული გრძნობანი; ხოლო გამოიყვანე შენი საცოდავი საყვარელი და მე გავუსწორდები“. სამუშაო მაკრატელსა ვტაცე ხელი.

იმათ სიცილი ასტეხეს. მაგიდის ნაპირას დასხდნენ და ხარხარით გულს ველა იმაგრებდნენ, თითქოს ამბობდნენ: „ხა, ხა, ხა, არა გაქვს მაგაზედ დიდი მაკრატილი, მაგაზედ ცოტა დიდი მაკრატელიო“.

მე თქვენ გაჩვენებთ, რომ დიდობაზედ არ არის საქმე, მაგ მამაცთან საბრძოლველად ერთი უხეირო სახაზავით გამოვალ-მეთქი, დ სახაზავი მოუღერე. წინანდელზედ უფრო ძლიერ გადიხარხარეს დ აშკარად მაგრძნობინეს, რომ იმათ ვძულდი. „რა ქენით, ხელ-ახლად იწყებთ“-მეთქი, შევძახე მრისხანედ. ისინი ყურადღებასაც არ მაქცევდნენ, ერთმანეთს უახლოვდებოდნენ, აღარა სცხვენოდათ, ერთმანეთს ეალერსებოდნენ და მზად იყვნენ ერთმანეთს დაჰკონებოდნენ. „თქვენ მაგას ვერ იზამთ“-მეთქი! მივაძახე, მაგრამ იმათ სისრულეში მოიყვანეს თავისი განზრახვა. ასე მოიქცნენ სწორედ ჩემ ცხვირ-წინ. მაშინ-კი ამევსო მოთმინების ფიალა: შეუმაღლე სახაზავი და ელვასავით სწრაფად დავკარ, რალამაც დაიწკრიალა, რაღაც გაისრისა: მარჯვე დაკვრით ორივენი დამეხოცა. ასე გათავდა ჩვენი ნაცნობობა.

ეს იყო პატარა, ჩვეულებრივი ბუზი ნაცრის ფერ ფრთებიანი.

სხვა არა ჰქონდა რა შესანიშნავი. ვიდრე იგი ცოცხალი იყო, ბევრი სიამოვნება მაგრძნობინა.

## ბეჭედი

(მისივე)

ერთხელ ერთ საზოგადოებაში ვნახე ახალგაზდა შეყვარებული ქალი. სიყვარულის ცეცხლით აღგზნებული მისი თვალები უფრო გამშვენივრებულიყვნენ, უფრო მეტის სიცხოვლით ელავდნენ. ვერაფრით ვერ დაეფარა თავისი გრძნობა. ვინ უყვარდა? აგერ, ის, სარკმელთან მდგარი, სახლის პატრონის შვილი, სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი და ლომებრ მქუხავის ხმის მქონე. და, ღმერთო ჩემო, რა სიყვარულით შესცქეროდნენ ქალის თვალები ახალგაზდა კაცს, რა მოუსვენრად იჯდა იგი!

ძალიან კარგად ვიცნობდი და, საღამოს სახლში დაბრუნებისას, ვუთხარი: „რა ნათელი და მშვენიერი ტაროსია! ამ საღამოს ბევრი ისიამოვნე-მეთქი“? და რათა მისის სურვილის წინააღმდეგ მევლო, წავიძერ ჩემი ნიშნობის ბეჭედი და განვაგრძე: „დახე, შენი ბეჭედი ეხლა ძალიან ვიწროდა მაქვს: თითზედ მიჰერს. რა იქნება, რომ მისცე და გააგანიერებინო“?

მან ხელი გამომიშვირა და სთქვა: „მომეცი გავაგანიერებინებ“.

ბეჭედი მივეცი.

ერთის თვის შემდეგ კიდევ შემხვდა. მსურდა ბეჭდის შესახებ მეკითხა რამე, მაგრამ არა ვკითხე. „რა მეჩქარება“-მეთქი, ვიფიქრე: „რა უშავს, ერთს თვეზედ მეტი გავიდეს-რა.“

ის-კი მიწას დასჩერებოდა და მკითხავდა.

— „ახ, ჰო! ბეჭედი გამახსენდა! რაღაცა უბედურებაა ჩემს თავს იმის გადამკიდე, სადღაც დავდე და ვეღარ მიპოვნიაო“.

და ჩემს პასუხს ელოდა.

— არა სჯავრობ?—მკითხა მოუსვენრად.

— არა მეთქი, მივუგე მე.

ღმერთო ჩემო, რა გულ-ცივად წავიდა იმის გამო, რომ არ ვუწყრებოდი!

— და აი, მთელი წელიწადი გავიდა. ისევ ამ წინანდელს ალაგს ვიყავ და ერთს საღამოს ნაცნობ ქუჩაზედ დავფრატუნებდი. უეცრად ვნახე, რომ ჩემკენ მოდიოდა. თვალები უფრო გამშვენიერებოდა, სითეთრეც მოჰმატებოდა შიგ, ხოლო პირი როგორღაც გასდიდებოდა და ტუჩები გაჰფითრებოდა.

— აი, შენი ბეჭედი!—წამოიძახა: შენი ნიშნობის ბეჭედი! ვიპოვნე, ჩემო საყვარელო, და მივეცი გასაგანიერებლად. ეხლა აღარ მოგიჭერს.

შევხედე თავ-მინებებულს ქალს, მისს დიდს პირს და მკრთალს ტუჩებს. დავხედე ბეჭედსაც.

— ოჰ!—წამოვიძახე და მდაბლად დავუკარ თავი:—რა უბედურებაა ჩვენს თავს, ეხლა ძალიან განიერი მომივიდა-მეთქი!..

ვანო გიუნაშვილი

ნწყობილებისა და ღრმა პატივისცემისა“.

**ვარშავა.** თავად იმერეთინსკის გვამის გასვენება პეტერბურგის გზის სადგურზე დანიშნულია 21 ნოემბრისათვის.

21 ნოემბერი

**ბერნი.** შტატების საბჭომ მიიღო გააგის კონფერენციის გადაწყვეტილება და აგრეთვე კონვენციები საერთაშორისო დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის შესახებ, და ჟენევის კონვენციის გავრცელების შესახებ საზღვაო ომებზედაც; საბჭომ მიიღო აგრეთვე დეკლარაცია იმის შესახებ, რომ აღკრძალულ იქმნას ჰაეროსტატებიდგან ასაფეთქ ყუმბარების სროლა, არ იქმნას ხმარებული ისეთი ყუმბარები, რომელნიც შხამიან გაზებს ავრცელებენ, არ იქმნას ხმარებული ისეთი ტყვიები, რომლებიც ფართოვდებიან და იკუმშებიან ადამიანის სხეულში.

**ტიანძინი.** ხმა დადის, რომ გერმანიის ჯარის 4 როტა პაოტინფუს დასავლეთით დიდ გაჭირვებაშიაო. საფრანგეთის 8 როტა პაოტინფუდგან 10 ნოემბერს წავიდა იმათ მისაშველებლად. თან წაიღეს 5 დღის საგძალი. პაოტინფუში მშვიდობიანობაა.

**პეკინი.** პეკინში დაბრუნებულ ჩინელთა რიცხვი ხელ-ახლა იზრდება. როგორც სჩანს, ისინი მეგობრულის თვალით უყურებენ ევროპიელებს; ევროპიელთა სამხედრო მოსამართლეებს ყოველ დღე ცნობები მოსდით იმის შესახებ, თუ სად სცხოვრობენ დაბრუნებულნი მოკრივენი. მოსამართლენი მხოლოდ იმათ აპატიმრებენ, რომელთაც ჩინელ ქრისტიანეთა ამოწყვეტაში ბრალი მიუძღვით.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ გაილის (იორკის მოადგილეა) რაზმმა ამართა გერმანიის დროშა მინთა აკლდამებზე, დასაჯა ახლო მდებარე სოფლები ქრისტიანთა დახოცვისათვის და უკანვე დაბრუნდაო.

**ბერლინი.** დიდი ყურადღება მიიქცია აქ იმ გარემოებამ, რომ სასახლის მოძღვარმა გუშინ წირვის დროს მოიხსენია კრიუგერი და სთქვა: „ღმერთი იყვეს შემწე და მხსნელი იმისი და იმისი ერისაო“.

**ლონდონი.** პარლამენტი დღეს შეიკრიბა. სპიკერად არჩეულ იქმნა გეზლი. ხვალ პარლამენტის წევრები ფიცს მიიღებენ.

22 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ალექსანდრეს ასული ოლგა 21 ნოემბერს გატჩინოში მოვიდნენ.

ნარვის ბრძოლის ორასი წლის განვლის აღსანიშნელად ნარვში ძეგლის კურთხევის დროს ხელმწიფე იმპერატორისაგან მოვიდა შემდეგი დეპეშა; „მახარებს კურთხევა იმ ძეგლისა, რომელიც აღმართულ იქმნა ნარვის ბრძოლაში დახოცილთა პატივ-საცემლად ბრძოლის დღიდგან ორასის წლის განვლის შემდეგ. ეჭვი არა მაქვს, რომ პეტრეს ბრიგადისა და ბომბარდირთა როტის სასიქადულო რაზმების ჩამომავალნი არ უღალატებენ თავიანთ ბრწყინვალე წინაპართა ანდერძს“.

21 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გარდაიცვალა ცნობილი მწერალი შელლერ—მიხაილოვი.

**ლონდონი.** კიტჩენერი იუწყება ბლუმფონტენიდგან, რომ ცხენოსანი ჯარი, რომელსაც ნოქსი უფროსობდა, მთელი დღე ებრძოდა ბურებს გოლგდეგოფთან სმიტფილდის გზაზე. ბურები, რომელთაც სურსათით დატვირთული ურმები ჰქონდათ, იძულებულნი გახდნენ უკან დაეწიათ. ინგლისელები დაედევნენ და რამდენისამე შეტაკების შემდეგ ტყვედ წამოიყვანეს 30 ბური: წავართვით აგრეთვე ცოტაოდენი საქონელიც. სეტლმა ეგერსფონეინამდე მიაღწია. პეჯეტმა უკან დასწია მტერი ბევფონტეინის მახლობლად.

**დურბანი.** 50 კარგად შეიარაღებული ცხენოსანი ბური უეცრად გაჩნდა ერთ ადგილას ლედი-სმიტის დაახლოვებით და გაძარცვა იგი. ერთმა გაძარცულთაგანმა გუშინ ლედი-სმიტში ამბავი მოიტანა, რომ ეგეთივე რაზმი მახლობლადაც გაჩნდაო.

**ტიან-ძინი.** პაოტინფუს დასავლეთით გერმანელებს დაეცა 2500 მოკრივე. გერმანელებს მოუკლეს 20 კაცი და მრავალი დაუჭრეს.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ ძრიელი რაზმი გაწვრთნილის ჯარისა გენერლის წინამძღოლობით დაბანაკებულია ძიანთან, 25 კილომეტრის მანძილზედ ტიანძინიდგანაო. იმის წინააღმდეგ ტიანძინიდგან გაგზავნილია ორი რაზმი პოლკოვნიკის რორშეიდტის და მაიორის ფოლკენგაინის წინამძღოლობით.

**კაპშტადტი.** 11 კაცს, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ, ვითომ რობერტსის მოკვლა განიზრახესო, სამზღვარ-გარეთ გაჰგზავნიან, რადგანაც საკმაო საბუთები არ აღმოჩნდა მათი სამართალში მიცემისათვის. ყუმბარები ვერ იპოვეს; შეპყრობილნი იტალიელები არიან.

**გეტებორგი.** გეტებორგის სამეცნიერო საზოგადოებამ გრაფი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი თავის წევრად აირჩია.

**შანჰაი.** აქაურმა ელჩებმა ერთ ხმივ დაადგინეს უფრო სასტიკი ზომები მიიღონ იარაღის აკრძალვის საქმეში და ევროპიელებსაც აღუკრძალონ შეტანა როგორც იარაღისა, ისე იარაღის გასაკეთებელის მასალისა. იაპონიის ელჩმა განაცხადა, რომ ჩემმა მთავრობამ მიბრძანა—შევაჩერო ზემოხსენებულ დადგენილობის სისრულეში მოყვანაო.

**პეკინი.** ყველა ელჩებმა მიიღეს თავთავიანთ მთავრობათაგან ცნობანი საერთო ნოტის შესახებ. ხვალ ელჩებს სხდომა ექმნებათ. ელჩები იცავენ საიდუმლოს, მაგრამ ამისდა მიუხედავად საკმაო ცნობებია მთავრობათა პასუხების შესახებ და ეჭვი არ არის, რომ ელჩების ხვალინდელ სხდომას კეთილი შედეგი მოჰყვება. ცინმა და ლიხუნგ-ჩანგმა გამოაცხადეს, რომ ჩინეთს უეჭველად ჰსურს ისეთი მშვიდობიანობა, როგორიც ეკადრება სახელწიფოს დამოუკიდებლობას და ღირსებას, მაგრამ რამდენიც უცხოელთა ჯარები დიდხანს დაჰყოფენ ჩილის პროვინციაში, მით უფრო ძნელი იქმნება საქმის დაბოლოვებაო.

მისსიონერნი და ყველა ისინი, ვინც არეულობის დროს მომწყვდეულნი იყვნენ, წინაამდეგნი არიან სასჯელის შემსუბუქებისა და თხოულობენ, რომ წარჩინებულნი მოხელენი, რომელთაც ბრალი აქვთ არეულობაში, დასჯილ იქმნენ. იმა თივე აზრით, ჩინეთში დატოვებული უნდა იქმნას საკმაოდ ძლიერი რაზმი. უამისოდ ხელ-ახალი არეულობა აუცილებელიაო.

**კაპშტადტი.** რადგანაც ბრიტანიელთა საწინაამდეგო მოძრაობა დიდის ენერგიით ვრცელდება, ყველა ინგლისის მომხრე მოქალაქეს იმედი აქვს, რომ მიღებულ იქმნება ჯეროვანი ზომები კაპის ახალ შენში მოსალოდნელ საყოველთაო ომის ასაცდენად.

**ტიან-ძინი.** ტანვენხუანი, რომელიც ჰხელმძღვანელობდა პაოტინფუში მისიონერებზე თავდასხმას, აქ მოვიდა. ქუჩაში გერმანელების ცხენოსანთა რაზმი მოსდევდა. ტანვენხუანს გადასცემენ დროებით მთავრობას სიკვდილით დასასჯელად.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის ეპისტოლეში კონგრესის მიმართ დაწვრილებითაა აღნიშნული ჩინეთის საქმე. ამის გარდა ეპისტოლეში ნათქვამია, რომ სხვა სახელმწიფოებთან ჯეროვანი განწყობილება ჰსუფევსო. მაკ-კინლეი იწონებს სამხრეთ პროვინციების მმართველთა კანონიერ მოქმედებას, ელჩების მხნეობას და გემების უფროსების მოქმედებას. შემდეგ მოხსენებულია 1900 წლის 20 ნოემბერს გამოცემული ცირკულიარი, რომელშიაც მთლად მოყვანილია ამერიკის პროგრამა. მისი პოლიტიკაა—დაცულ იქმნას უცხოელ სახელმწიფოთა უფლებანი, დაცულ იქმნას აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობა ყველა ქვეყნებისთვის ერთგვარად. ამერიკამ მიიღო რუსეთის წინადადება ჩინეთის იმპერატორის უფლებათა აღდგენის შესახებ პეკინში, რადგანაც ამ საშუალებით უფრო ადვილად შეიძლება ჩინეთის საქმის გარდაწყვეტა. პრეზიდენტი თხოულობს, სამაგალითოდ იქმნენ დასჯილნი ნამდვილი დამნაშავენი, მაგრამ ისე კი, რომ დაცულ იქმნას კეთილ-გონიერება და სწორე სამართალი. ამას უმთავრეს პირობად სთვლის და ამბობს, რომ ჩინეთს, სხვათა შორის, უნდა მოეთხოვოს, მეტი თავდებობა იკისროს უცხოელების უფლებათა დაცვის საქმეში და თავისი ტერრიტორია ღია ჰქონდეს მსოფლიო ვაჭრობისათვის. შემდეგ მაკ-კინლეი აცხადებს, რომ ყოველივე უთანხმოება საზღაურის გამო გააგის სამედიატორო სამართლით უნდა გადასწყდესო. ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ამერიკას საფრანგეთთან მეგობრული განწყობილება აქვს, გერმანიასთან—საკმაოდ კეთილი, რუსეთთან-კი—განუწყვეტლივ მეგობრულიო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე მემკვიდრის დაბადებისა და სახელწოდების გამო სატახტო ქალაქი ბაირაღებით იქმნა მორთული. საღამომდე ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. ყველა ეკკლესიებში პარაკლისები იქმნა გარდახდილი.

**სოფია.** როგორც ხმა დადის, შინაგან საქმეთა მინისტრს მთავარი უნახულნია და შემდეგ სამსახურიდგან გადამდგარა.

**ლონდონი.** „Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ ჩინეთის ჟურნალ-გაზეთების აზრით, სამეფო სახლობა პეკინში დაბრუნებას აპირებსო. როგორც ფიქრობენ, ლიხუნგჩანგი, ჩჟანჩჟიდუნი და სხვანი უთუოდ მოახერხებენ, რომ ტუანი და ტუნფუსიანი დასჯილ იქმნან. ახალის ბრძანებით დათხოვნილნი არიან ყველა ის მანდარინები, რომელნიც „დიდ მუშტს“ ეხმარებოდნენ. ჩინეთისა და უცხოელთა ოფიციალურს წრეებს ეს გარემოება საკეთილოდ მიაჩნიათ.

„Daily News“-ს ატყობინებენ ტიანძინიდგან, —მუდამ ცნობები მოაქვთ, რომ ქალაქის გარეთ სხვადა სხვა ადგილას „დიდ მუშტთანა“ და დათხოვნილ ჯარის კაცებთან ერთავად პატარ-პატარა შეტაკება აქვთ.

„Morning Post“-სა და „Standard“-ს ატყობინებენ შანჰაიდგან, რომ 21 ნოემბრიდგან იმპერატორის ბრძანება მოვიდა, რომელშიაც, მართალია, აღნიშნულია ტუნფუსიანის სამსახური მაჰმადიანთა ამბოხების დროს, მაგრამ ამავე დროს სინანულია გამოთქმული, რომ ტუნფუსიანი საერთაშორისო წესების სრულიად არ ცოდნით ჩინეთის უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულებას დიდს ზიანს აყენებსო. ამისათვის ტუნფუსიანს ხარისხი და ტიტული ჩამოერთმევა, მაგრამ კანსუს ჯარების უფროსად-კი შეუძლიან ისევ დარჩესო. ბრძანება გამოვიდა, რომ მისი 5,000 ჯარის-კაცი დათხოვნილ იქმნას. ტუნფუსიანს მიწერილობა გაეგზავნა, რომ დანარჩენ ჯარების უფროსობა ჩაიბაროს და კანსუში წავიდეს. „Standard“-ის კორრესპონდენტი ამ ბრძანებაში იმასა ჰხედავს, რომ იმპერატორს ტუნფუსიანის დასჯა არა ჰსურს და უნდა მხოლოდ სინანფუდგან მოიშოროს, თუმცა ეს გარემოება ტუნფუსიანს საშუალებას მისცემს ამბოხება მოახდინოს, თუ-კი განზრახვა აქვს.

**სოფია.** კაბინეტი სამსახურიდგან გადადგა. კრება დროებით შეწყვეტილია.

**ბერლინი.** აქ მყოფს ჩინეთის ელჩს დეპეშით ატყობინებს ლიხუნგჩანგი, რომ შანსის ახალი გუბერნატორი, თავისის მოადგილის იუსიენის წინააღმდეგ, ორი თვეა „დიდს მუშტს“ საშინლად სასტიკად ეპყრობაო; ოთხმოცამდე ხელმძღვანელი ამბოხებისა უკვე დასაჯა და ყოველსავე ღონისძიებასა ხმარობს, რომ მის სიონერებს მფარველობა გაუწიოსო.

**ნიუ-იორკი.** პეკინიდგან იუწყებიან 22 ნოემბერს, რომ დღევანდელს სხდომაზედ ელჩებს ჯერ კიდევ გადაჭრილად არა გადაუწყვეტიათ-რა, რადგანაც თავისს სახელმწიფოთაგან არავითარი მიწერილობა არ მიუღიათ იმის შესახებ, თუ ჩინეთს თავდაპირველად როგორი ნოტა უნდა წარუდგინონო. კონჯერმა განაცხადა სხდომის შემდეგ, რომ ეჭვი არ არის, ყველა საკეთილოდ დაბოლოვებას არის მოწადინებულიო; კონჯერის აზრით, შემდეგი სხდომა უთუოდ უკანასკნელი იქნება, მაგრამ იგი იმ დრომდე არ მოხდება, ვიდრე თავისს სახელმწიფოთაგან ყველა ელჩები არ მიიღებენ მოწერილობას. პირადად კონჯერი დღევანდელი სხდომითაც დიდად კმაყოფილია.

**ჰააგა.** მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა მეორე პალატაში, რომ არ შეიძლება წინადვე ითქვას, თუ როდის იქნება შესაძლებელი, რომ ჰოლანდიამ სამხრეთ-აფრიკის ომის მედიატორეთა სამართლით გარდაწყვეტის შესახებ წინადადება წარადგინოსო.

**კაპშტადტი.** დღეს, დილით შენიშნეს, რომ გარეგამსტუანთან ტელეგრაფის მავთული გაუწყვეტიათ ბურებს. ხალხი დიდად აღელვებულია.

23 ნოემბერი

**ლივადია,** 23 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორს მთელი ღამე კარგად ეძინა, თვითგრძნობელობა კარგი ჰქონდა, ტემპერატურა და მაჯა ნორმალური. ლეიბ-ქირურგი გირში; საპატიო ლეიბ მკურნალი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

**ვორჩესტერი.** (კაპის ახალშენი) გაზეთის პატრონი დეიენგი დაპატიმრებულ იქმნა. ბრალად დეიენგს ცილისწამება ედება, რადგანაც 11 ნოემბერს გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც ინგლისის ჯარებს ცუდ საქციელის ჩადენას სწამებდა.

**სოფია.** სცდილობენ საკოალიციო კაბინეტის შედგენას, ამ ცდისაგან დიდი იმედი აქვთ.

**კელნი.** კრიუგერი ხვალ წავა, დილის 10 საათზედ, საგანგებო მატარებელით, რომელსაც ვენლოში შეუერთდება ჰოლანდიის საგანგებო მატარებელი.

**ბერლინი.** ვალდერზეე პეკინიდგან იუწყება, რომ როგორც ისმის შანსის პროვინციაში დიდ-ძალი გაწვრთნილი ჯარი სდგას გენერლის მას უფროსობით. ამ ჯარს ჯილის საზღვარზედ მასის გასავლები უჭირავს.

**პაოტინფუ.** თოფის წამლის მაღაზიის გასუფთავების დროს აფეთქება მოხდა; აფეთქების დროს ერთი პიონერი იქმნა მოკლული, პორუჩიკი ვოლფგრამი და 4 პიონერი დაჭრილნი არიან.

**ლონდონი.** კიტჩინერი იუწყება ბლუმფონტენიდგან, რომ ნოქსი დევეტის ჯარს თავს დაესხა ბეტულიისა და სმიტფილდის გზის მახლობლად და მტერი უკუაგდო სიმაგრეებიდგან განდევნათ; მზის დასვენებისას მტერი ჩრდილოეთისაკენ მიიქცა. უტრეხტის გარნიზონის რაზმი 19 ნოემბერს ქალაქის მახლობლად 200 ბურს შეეხეთა; ბრძოლის შემდეგ, რომელმაც 2 საათს ნახევარს გასტანა, მტერმა უკან დაიხია; ბრძოლის ველზედ მტერმა ექვსი კაცი დასტოვა. ინგლისელებმა ორი მოკლული დაჰკარგეს და 5 დაჭრილი. ბურების თავ-დასხმისა გამო ვერესნიგინზედ, 19 ნოემბერს ჰეიდელბერგიდგან რაზმი წავიდა. რომელსაც შემდეგ 150 ბური თავს დაესხა; ბურები უკუ-აქციეს და ცხრა ურემი წაართვეს; ორი ინგლისელი მოკლულ იქმნა. გენერალი ფრენჩი იუწყება პატჩესფსტრომიდგან, რომ რობერგის მახლობლად მოქმედმა რაზმმა ბევრი ტყვე წაიყვანა და რამდენიმე ათასი სული საქონელი წაასხა; ამასთანავე მახლობლად 500 ბური გააძევესო.

---

## მადლობის გამოცხადება

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი იმ დაწესებულებათა, სასოფლო სკოლების გამგეთ, რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტობას და ქართველობას, აგრეთვე ჩემთა ნაცნობთა, ნათესავთა და მეგობართ, რომელთაც სასამძიმრო დეპეშებით თუ წერილებით გამამხნევეს მე ამ აუტანელ ჭირში და სასტიკს განსაცდელში მყოფი. ამასთანავე ჩემთა მოწაფეთ ყოფილთა და ნაცნობ სამღვდელო პირთა უმდაბლესად ვთხოვთ, ვინც იცნობდნენ და პატივსცემდნენ ჩემს განსვენებულს მეუღლეს ელენეს, ხსენება ჰყონ მისთვის 30-ს ნოემბერს, მეორმოცე დღეს მისის გარდაცვალებისას.

თევდორე ჟორდანია

---